

სააქციო საზოგადოება
კრედიტინფო საქართველო

ფინანსური ანგარიშგება
და
აუდიტის დასკვნა

31 დეკემბერი, 2018

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-iv
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9-24

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „კრედიტინფო საქართველოს“ („კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს მსს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს მსს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 14 თებერვალს.

ალექსანდრე გომიაშვილი
გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური
ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კრედიტინფო საქართველოს“ აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „კრედიტინფო საქართველოს“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

14 თებერვალი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

სს კრედიტინფო საქართველო
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	4	8,565,735	9,966,789
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან	12	81,122	33,230
სხვა შემოსავალი		18,193	7,554
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,961,983)	(3,206,418)
საპროცენტო ხარჯი	14	(27,502)	(321,690)
სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(88,997)	(77,765)
წმინდა უარყოფითი/დადებითი საკურსო სხვაობა	7	416,776	450,613
მოგება დაბეგრამდე		6,003,344	6,852,313
მოგების გადასახადი			
მოგების გადასახადი	8	-	-
გასული წლის მოგება	8	(83,625)	-
წლის მოგება		5,919,719	6,852,313
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		5,919,719	6,852,313

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ალექსანდრე გომიშვილი
 გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური
 ბუღალტერი

სს კრედიტინფო საქართველო
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
ძირითადი საშუალებები	9	201,397	170,447
არამატერიალური აქტივები	10	1,368,140	1,403,190
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,569,537	1,573,637
დებიტორული დავალიანება	11	1,034,293	1,302,435
ფული და ფულის ექვივალენტები	12	5,369,570	893,949
სულ მიმდინარე აქტივები		6,403,863	2,196,384
სულ აქტივები		7,973,400	3,770,021
კაპიტალი	13	271,310	271,310
საემისიო კაპიტალი	13	39,994	39,994
გაუნაწილებელი მოგება		7,199,056	1,279,337
სულ კაპიტალი		7,510,360	1,590,641
გრძელვადიანი მიღებული სესხები	14	-	652,186
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	652,186
კრედიტორული დავალიანება	15	463,040	451,511
მოკლევადიანი მიღებული სესხები	14	-	1,075,683
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		463,040	1,527,194
სულ ვალდებულებები		463,040	2,179,380
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,973,400	3,770,021

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ალექსანდრე გომიაშვილი
 გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური
 ბუღალტერი

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნები	კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	343,940	135,724	(6,151,425)	7,953,916	2,282,155
წლის მოგება		-	-	-	6,852,313	6,852,313
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	6,852,313	6,852,313
კომპანიის მიერ საკუთარი აქციების უკანგამოსყიდვის ტრანზაქციები	13	-	-	(7,543,827)	-	(7,543,827)
სახაზინო აქციების გაუქმება	13	(72,630)	(95,730)	13,695,252	(13,526,892)	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	271,310	39,994	-	1,279,337	1,590,641
წლის მოგება		-	-	-	5,919,719	5,919,719
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	5,919,719	5,919,719
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	271,310	39,994	-	7,199,056	7,510,360

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ალექსანდრე გომიაშვილი
 გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური
 ბუღალტერი

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნები	2018	2017
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობაში			
წლის მოგება		5,919,719	6,852,313
კორექტირებები			
მოგების გადასახადის ხარჯი		83,625	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9	41,368	34,497
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	352,548	299,768
ჩამოწერები		14,943	8,108
საპროცენტო შემოსავალი	12	(81,122)	(33,230)
საპროცენტო ხარჯი	14	27,502	321,690
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	11	256,366	374,720
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	15	8,363	119,449
უკან გამოსყიდულ აქციებზე ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		-	(3,308,500)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული		6,623,312	4,668,815
გადახდილი პროცენტი	14	(29,445)	(321,690)
გადახდილი მოგების გადასახადი	8	(83,625)	(359,424)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		6,510,242	3,987,701
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(80,639)	(29,203)
არამატერიალური აქტივების შეძენა	10	(317,499)	(909,172)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	9	8,321	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(389,817)	(938,375)
ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობაში			
უკანგამოსყიდულ აქციებზე გადახდილი საფასური		-	(7,543,827)
მიღებული პროცენტი	12	81,122	33,230
სესხების წმინდა ზრდა	14	(1,725,926)	1,727,869
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(1,644,804)	(5,782,728)
ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა		4,475,621	(2,733,402)
ფულის და ფულის ექვივალენტების მოძრაობა			
ნაშთი წლის დასაწყისში	12	893,949	3,627,351
ზრდა		4,475,621	(2,733,402)
ნაშთი წლის ბოლოს	12	5,369,570	893,949

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ალექსანდრე გომიაშვილი
 გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური
 ბუღალტერი

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „კრედიტინფო საქართველო“ („კომპანია“) რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2005 წლის 14 თებერვალს). ოფისის მისამართია: თბილისი, 0179, თარხნიშვილის 2. კომპანია ფლობს საკრედიტო მონაცემთა ბაზას და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას აწვდის ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სალიზინგო კომპანიებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გასცემენ სესხებს ან აწვდიან საქონელს და მომსახურებას კრედიტში.

კომპანიაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასაქმებული იყო 26 თანამშრომელი (2017 წლის 31 დეკემბერს: 20 თანამშრომელი).

2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის აქციებს:

	მფლობელობა, %	
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
Creditinfo International GmbH (Creditinfo Group hf-ის შვილობილი)	36.76	36.76
სს „თიბისი ბანკი“	21.08	21.08
სს „პროკრედიტ ბანკი“	21.08	21.08
სს „საქართველოს ბანკი“	21.08	21.08
სულ	<u>100.00</u>	<u>100.00</u>

სახაზინო აქციებზე დეტალური ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 13-ში.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 14 თებერვალს.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენისას, კლასიფიკაციას ახდენს ხარჯების ბუნებიდან გამომდინარე. კომპანიას სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საბანკო დეპოზიტებიდან გამომჟღავნებული საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის.

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი

დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება

ეს მომსახურება მიიღება კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილი კომპანიისგან და აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მომსახურების მიღება.

(გ) როიალტი

კომპანია როიალტს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების უფლებისთვის უხდის Creditinfo International GmbH-ის. როიალტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, წელიწადში არაუმეტეს 30,000 ევროსი.

(დ) იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

გაცვლითი კურსები:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.67	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.51	2.83
დასრულებული წლისთვის		
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.53	2.99
დასრულებული წლისთვის		

სესხის ხარჯები

სესხთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება- ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწევა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშვება არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებზე. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, სახაზინო აქციები და გადასახდელი დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კაპიტალში აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც „სააქციო კაპიტალი“. აქციების გამოშვებისას ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული თანხები კაპიტალში კლასიფიცირდება, როგორც „საემისიო კაპიტალი“.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ღირებულება, რომელიც მან გამოისყიდა კლასიფიცირდება როგორც „სახაზინო აქციები“, იგი ამცირებს კაპიტალს და ამგვარადაა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. როდესაც სახაზინო აქციები გაყიდულია ან თავიდან გამოშვებული, ისინი მიეკუთვნება კაპიტალს. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგება არ მოიცავს სახაზინო აქციების მოგებას ან ზარალს.

გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულებისა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით შემდეგნაირად:

საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკა 20% წრფივი მეთოდით

ოფისის აღჭურვილობა 20% წრფივი მეთოდით

სხვა ძირითადი საშუალებები 10-20% წრფივი მეთოდით

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება „სხვა შემოსავლებს“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებს“.

არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 15%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

კომპანიის არამატერიალური აქტივები ასევე მოიცავს ლიცენზიას „კრედიტინფოს“ სახელისა და ლოგოს გამოყენებაზე. ვინაიდან აღნიშნული ლიცენზია არის განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე, სასარგებლო მომსახურების ვადად მიიჩნევა 10 წელი (წლიური 10%-იანი განაკვეთი).

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად საღირსეო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება პრე-საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელ ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე. პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის სხვა მიზეზები

ხელმძღვანელობას არ მოუხდა მნიშვნელოვანი შეფასებების გაკეთება ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა იმისა, რაც წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში.

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

4 შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი საკრედიტო რეპორტებიდან	6,218,151	7,578,868
მონაცემთა ბაზის დამატებითი მომსახურება	743,772	863,596
კრედიტინფო პრედიქტორი	611,423	631,201
მონიტორინგი	164,885	161,451
სხვა მომსახურებები	827,504	731,673
სულ	8,565,735	9,966,789

სხვა შემოსავალი მოიცავს შემოსავლებს სარეგისტრაციო საკომისიოებიდან 92,461 ლარი; (2017: 73,282 ლარი), მოვალეთა რეესტრიდან მიღებულ შემოსავლებს 158,362 ლარი (2017: 155,444 ლარი) და სხვა შემოსავლებს.

5 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი	1,222,726	1,286,158
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება	764,460	836,659
ცვეთა და ამორტიზაცია	393,899	334,265
იჯარა და სხვა საოფისე ხარჯები	201,365	218,086
როიალტი	92,793	86,841
პროფესიონალური მომსახურება	89,539	91,200
მოვალეთა რეესტრის გამოყენება	50,847	50,837
კომუნალური ხარჯები	48,322	40,739
რეკლამის ხარჯები	45,805	107,036
საწვავის ხარჯები	18,665	16,211
უიმედო ვალების ხარჯი	14,943	81,867
ლიცენზიების ხარჯები	12,339	538
მივლინების ხარჯი	1,802	51,229
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	4,478	4,752
სულ	2,961,983	3,206,418

თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი მოიცავს ბონუსებს 223,971 ლარის ოდენობით 2018 წლისთვის (2017 -356,090 ლარი)

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

6 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
წარმომადგენლობითი ხარჯები	30,141	34,929
ჯარიმები	22,284	2,000
აქტივის გაყიდვიდან მიღებული ზარალი	8,350	9,314
მანქანის რემონტის ხარჯები	5,970	5,832
საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯები	4,055	101
ტენდერის ხარჯები	2,539	-
მანქანის ქირის ხარჯი	2,250	2,250
სახელმწიფო მოსაკრებელი	2,090	16,986
ქონების გადასახადის ხარჯი	1,842	1,687
ბანკის მოსაკრებელი	1,781	2,486
სხვა ხარჯები	7,695	2,180
სულ	88,997	77,765

7 წმინდა მოგება კურსთა შორის სხვაობიდან

	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	ფული და ფულის ექვივალენტები	სესხები	სულ
2018					
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	690	16,328	358,726	117,895	493,639
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	(1,778)	(5,452)	(69,633)	-	(76,863)
სულ	(1,088)	10,876	289,093	117,895	416,776
2017					
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	1,111	26,224	110,778	915,959	1,054,072
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	(436)	(20,443)	(168,843)	(413,737)	(603,459)
სულ	675	5,781	(58,065)	502,222	450,613

8 მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიას არ აქვს მოგების გადასახადი საანგარიშგებო პერიოდში.

მენეჯმენტმა შეცვალა სააღრიცხვო შეფასებები და მიმდინარე პერიოდში აღიარა გასული წლის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელიც 83,625 ლარს შეადგენს.

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

9 ძირითადი საშუალებები

	საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკა	საოფისე აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება				
2017 წლის 1 იანვარი	69,726	103,237	123,581	296,544
შემენა	-	29,203	-	29,203
გასვლა	(69,496)	(55)	-	(69,551)
2017 წლის 31 დეკემბერი	230	132,385	123,581	256,196
შემენა	-	7,385	73,255	80,640
გასვლა	-	-	(28,981)	(28,981)
2018 წლის 31 დეკემბერი	230	139,770	167,855	307,855
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის 1 იანვარი	(62,055)	(33,675)	(17,441)	(113,171)
წლიური ცვეთა	(47)	(22,001)	(12,449)	(34,497)
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	61,872	47	-	61,919
2017 წლის 31 დეკემბერი	(230)	(55,629)	(29,890)	(85,749)
წლიური ცვეთა	-	(24,674)	(16,680)	(41,354)
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	20,645	20,645
2018 წლის 31 დეკემბერი	(230)	(80,303)	(25,925)	(106,458)
ნარჩენი ღირებულება				
2017 წლის 1 იანვარი	7,671	69,562	106,140	183,373
2017 წლის 31 დეკემბერი	-	76,756	93,691	170,447
2018 წლის 31 დეკემბერი	-	59,467	141,930	201,397

საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკა განლაგებულია პრალაში, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილის Creditinfo Solutions, s.r.o.-ს ტერიტორიაზე.

ძირითადი საშუალებები და საოფისე აღჭურვილობა არ არის რაიმე ტიპის სესხით დატვირთული.

საოფისე აღჭურვილობის შემადგენლობაში შედის ნივთი, ღირებულებით 9,829 ლარი, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის გაცვეთილი.

საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკა ღირებულებით 69,726 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის გაცვეთილი.

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

10 არამატერიალური აქტივები

	საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები	სერვერზე სივრცის გამოყენების უფლება	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება				
2017 წლის 1 იანვარი	1,690,947	-	1,030	1,691,977
შემენა	201,623	679,197	28,352	909,172
გასვლა	(660)	-	(1,030)	(1,690)
2017 წლის 31 დეკემბერი	1,891,910	679,197	28,352	2,599,459
შემენა	-	118,302	199,197	317,499
2018 წლის 31 დეკემბერი	1,891,910	797,499	227,549	2,916,958
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის 1 იანვარი	(896,856)	-	(855)	(897,711)
წლიური ცვეთა	(246,285)	(51,702)	(1,781)	(299,768)
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	355	-	855	1,210
2017 წლის 31 დეკემბერი	(1,142,786)	(51,702)	(1,781)	(1,196,269)
წლიური ცვეთა	(199,958)	(138,344)	(14,246)	(352,548)
2018 წლის 31 დეკემბერი	(1,342,744)	(190,046)	(16,027)	(1,548,817)
ნარჩენი ღირებულება				
2017 წლის 1 იანვარი	794,091	-	175	794,266
2017 წლის 31 დეკემბერი	749,124	627,495	26,571	1,403,190
2018 წლის 31 დეკემბერი	549,166	607,452	211,522	1,368,140

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები შემენილია კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილისგან – Creditinfo Solution s.r.o.-სგან.

სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს „კრედიტინფოს“ სახელისა და ლოგოს გამოყენების ლიცენზიას, რომელიც კომპანიამ მიიღო კაპიტალში შენატანის სახით.

სერვერები განლაგებულია პრაღაში, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილის Creditinfo Solutions, s.r.o.-ს ტერიტორიაზე.

არამატერიალური აქტივები არ არის რაიმე ტიპის სესხით დატვირთული.

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამა, ღირებულებით 437,764 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის ამორტიზირებული.

სერვერზე სივრცის გამოყენების უფლება შემენილია 2017 წელს, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილისგან – Creditinfo Solution s.r.o.-სგან, 679,197 ლარად. სერვერები განლაგებულია პრაღაში, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილის Creditinfo Solutions, s.r.o.-ს ტერიტორიაზე.

სერვერზე სივრცის გამოყენების ხანგძლივობა შეადგენს 5 წელს

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

11 დებიტორული დავალიანება

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები ბანკებისგან	454,933	442,376
სავაჭრო მოთხოვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან	304,055	525,700
გადახდილი ავანსები	159,298	171,037
სავაჭრო მოთხოვნები სალიზინგო კომპანიებიდან	54,087	58,591
სავაჭრო მოთხოვნები სხვა კლიენტებისგან	61,920	104,731
სულ	1,034,293	1,302,435

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება სააღრიცხვო პერიოდისთვის ნულის ტოლია.
 სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვთ უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა 7

12 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	5,359,693	873,624
ნაღდი ფული	16	35
ფული სადეპოზიტო ანგარიშზე	9,861	20,290
სულ	5,369,570	893,949

სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებული ფული წარმოადგენს მოკლევადიან დეპოზიტებს 2,5-5%
 საპროცენტო განაკვეთით 2018 და 2017 წლებისთვის.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან შეადგენდა 81,122
 ლარს (2017: 33,230 ლარი).

ფული და ფულის ეკვივალენტს აქვთ უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა 7.

13 სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი და სახაზინო აქციები

ავტორიზებული და გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების მთლიანი რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბერსა და
 2017 წლის 31 დეკემბერს იყო 27,131 ცალი თითოეული 10 ლარის ნომინალური ღირებულებით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ცვლილებებს აქციების ღირებულებებში 2017 წლის განმავლობაში
 განხორციელებულ აქციების გამოსყიდვასთან და გაუქმებასთან დაკავშირებით

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სახაზინო აქციები	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	343,940	135,724	(6,151,425)	(5,671,761)
კომპანიის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	-	(7,543,827)	(7,543,827)
სახაზინო აქციების გაუქმება	(72,630)	(95,730)	13,695,252	13,526,892
2017 წლის 31 დეკემბერი	271,310	39,994	-	311,304
2018 წლის 31 დეკემბერი	271,310	39,994	-	311,304

კომპანიის ორმა აქციონერმა შპს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“-მ და სს „ბანკ რესპუბლიკამ“ გამოხატეს საკუთარი აქციების სრულად გაყიდვის სურვილი. იმისათვის, რომ დარჩენილ აქციონერებს მოეხდინათ დარჩენილი წილების კონსოლიდირება, გადაწყვიტეს აღნიშნული აქციების გამოსყიდვა ღირებულებით 13,695,252 ლარი. მას შემდეგ რაც მოხდა გამოსყიდვის პროცესის დასრულება, აქციონერებმა გადაწყვიტეს, რომ იმ ეტაპისათვის არ მომხდარიყო აქციების შეთავაზება პოტენციური ინვესტორებისათვის, შედეგად, აქციონერებმა მიიღეს აქციების გაუქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. არანაირი მოგება ან ზარალის აღიარება არ მომხდარა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ტრანზაქციის ბუნებიდან გამომდინარე აღნიშნული აქციების გაუქმების შედეგი აისახა კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

2018 და 2017 წლებში არ მომხდარა დივიდენდების გაცემა.

14 მიღებული სესხები

	31.12.2018	31.12.2017
მიმდინარე ნაწილი	-	1,075,683
გრძელვადიანი ნაწილი	-	652,186
	-	1,727,869

2018 წლის 31 დეკემბერს სესხების ნაშთი ნულია.

საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე 2018 წლის ბოლოსთვის იყო 27,502 ლარი (2017:321,690 ლარი). გადახდილი პროცენტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 29,445 ლარი და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 321,690 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბერი

გრძელვადიანი ნაწილი	საწყისი თარიღი	განაღების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ეროვნული ვალუტა
პაშა ბანკი	07.10.2016	06.01.20	7%	აშშ-დოლარი	ლარი
პაშა ბანკი	16.01.2017	06.01.20	7%	აშშ-დოლარი	ლარი
სულ გრძელვადიანი ნაწილი					652,186
მიმდინარე ნაწილი					
პაშა ბანკი	07.10.2016	06.01.20	7%	აშშ-დოლარი	ლარი
პაშა ბანკი	16.01.2017	06.01.20	7%	აშშ-დოლარი	ლარი
სესხის თანხა					1,073,739
გადასახდელი პროცენტი					1,943
სულ მიმდინარე ნაწილი					1,075,683

სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მიღებული სესხი არ იყო უზრუნველყოფილი. გადახდების გრაფიკის მიხედვით სესხის თანხისა და პროცენტის გადახდა ხდება თვითურად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს აქვთ უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა 7.

15 კრედიტორული დავალიანება

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო ვალდებულებები	374,031	259,552
საგადასახადო ვალდებულება	61,694	122,682
მიღებული ავანსები	22,621	1,679
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	4,694	67,598
სულ	463,040	451,511

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს აქვთ უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა 7

16 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის აქციონერები წარმოდგენილია 1-ლ შენიშვნაში. მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ტრანზაქციები	2018	2017
შემოსავალი	1,585,341	1,532,305
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება	764,460	836,659
როიალტი	92,793	86,841
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	39,272	19,367
ნაშთები 31 დეკემბრისთვის		
ფული და ფულის ექვივალენტები	505,052	583,392
დებიტორული დავალიანება	206,673	134,513
წინასწარი გადახდები	72,073	53,621
კრედიტორული დავალიანება	268,496	175,004

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში შეიძინა არამატერიალური აქტივები დაკავშირებული მხარისგან 282,286 ლარის ღირებულების.

ხელმძღვანელობის ანაზღაურება 2018 წელს იყო 347,072 ლარი. (2017: 432,727 ლარი).

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

17 პირობითი ვალდებულებები/აქტივები

საოპერაციო იჯარა

მინიმალური საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია ქვემოთ:

2018	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
სავარაუდო იჯარის ხარჯები	200,685	200,685	-
2017			
სავარაუდო იჯარის ხარჯები	190,491	380,983	-

კომპანიას არ აქვს პირობითი ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ მსესხებელიარ გადაიხდის მთლიანად სესხს ან ნაწილს ან არ გადაიხდის დროულად და რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
 - სავალუტო რისკი;
 - ფასიანი ქაღალდების რისკი.

კომპანიის მენეჯმენტი საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით ახერხებს რისკების მართვას. კომპანიის ოპერაციების სიმარტივიდან გამომდინარე არ არსებობს რისკების მართვისათვის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აერთიანებს კატეგორიების მიხედვით ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს:

	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ექვივალენტები	5,369,570	893,949
დებიტორული დავალიანება	874,995	1,131,398
სულ აქტივები	6,244,565	2,025,347
	31.12.2018	31.12.2017
კრედიტორული დავალიანება	378,725	327,150
გრძელვადიანი სესხები	-	652,186
მოკლევადიანი სესხები	-	1,075,683
სულ ვალდებულებები	378,725	2,055,019

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ დაფარავს მთლიან თანხას, როცა დადგება გადახდის დრო. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება, ზოგადად აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში
 მაქსიმალური რისკი რომლის წინაშეც შეიძლება იყოს კომპანია შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ექვივალენტები	5,369,570	893,949
დებიტორული დავალიანება	874,995	1,131,398
სულ აქტივები	6,244,565	2,025,347

დებიტორული დავალიანებები არ არის უზრუნველყოფილი. კომპანია სრულად არეზერვებს მოთხოვნებს რომლებიც ვადაგადაცილებულია 360 დღე და მეტი ვადით, 181-360 დღის განმავლობაში ვადაგადაცილებულ მოთხოვნებს 50%-ით არეზერვებს, 180-91 დღის განმავლობაში ვადაგადაცილებულ მოთხოვნებს 25%-ით, ვადაგადაცილებულ მოთხოვნებს 90-61 დღის განმავლობაში 5%-ით, 60-31 დღეზე ვადაგადაცილებული თანხის ოდენობის 2% -ით, 30 დღეზე ნაკლებ ვადაგადაცილებას არეზერვებს 0%-ით.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართვას მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

შემდეგი ცხრილები აანალიზებს ფინანსურ ვალდებულებებს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წელზე ნაკლები	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	5,369,570	-	-	-	5,369,570
დებიტორული დავალიანება	874,995	-	-	-	874,995
სულ ფინანსური აქტივები	6,244,565	-	-	-	6,244,565
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	378,725	-	-	-	378,725
სულ ფინანსური ვალდებულებები	378,725	-	-	-	378,725
ლიკვიდურობა	5,865,840	-	-	-	5,865,840

ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წელზე ნაკლები	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	893,949	-	-	-	893,949
დებიტორული დავალიანება	1,131,398	-	-	-	1,131,398
სულ ფინანსური აქტივები	2,025,347	-	-	-	2,025,347
ფინანსური ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები	-	652,186	-	-	652,186
მოკლევადიანი სესხები	1,075,683	-	-	-	1,075,683
კრედიტორული დავალიანება	327,150	-	-	-	327,150
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,402,833	652,186	-	-	2,055,019
ლიკვიდურობა	622,514	(652,186)	-	-	(29,672)

ამჟამად, კომპანია ელის რომ დაფარავს ყველა ვალდებულება სახელშეკრულებო ვადი შესაბამისად. იმისათვის, რომ კომპანიამ შეძლოს აღნიშნულის განხორციელება, იგი საოპერაციო საქმიანობიდან ელის საკმარისი ფულადი სახსრების მიღებას.

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი, ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიძლება შეიცვალოს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ეს რისკი პირდაპირ დაკავშირებულია კომპანიის საოპერაციო საქმიანობასთან, როდესაც კომპანიის შემოსავლები ან ხარჯები დენომინირებულია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში და კომპანიის ფინანსური ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

მენეჯმენტი ახდენს მცირე ჰეჯირებას თანხების აკუმულირებით ორ ძირითად უცხოურ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

ფინანსური აქტივები	აშშ-დოლარი	ევრო
ფული და ფულის ექვივალენტები	4,794,666	107,853
დებიტორული დავალიანება	64,013	78,966
სულ ფინანსური აქტივები	4,858,679	186,819
სულ ფინანსური აქტივები		
კრედიტორული დავალიანება	57,083	211,313
სულ ფინანსური ვალდებულებები	57,083	211,313

სს „კრედიტინფო საქართველო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

31.12.2017		
ფინანსური აქტივები	აშშ-დოლარი	ევრო
ფული და ფულის ექვივალენტები	287,382	151,480
სულ ფინანსური აქტივები	287,382	151,480
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	1,727,869	-
კრედიტორული დავალიანება	131,283	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,859,152	-

19 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „კრედიტინფო საქართველოს“ („კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს მსს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს მსს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 14 თებერვალს.



ალექსანდრე გომიაშვილი
გენერალური დირექტორი



ირინა წიკლაური
ბუღალტერი



RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კრედიტინფო საქართველოს“ აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „კრედიტინფო საქართველოს“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში

განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ


- აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

14 თებერვალი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia





სს კრედიტინფო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	4	8,565,735	9,966,789
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან	12	81,122	33,230
სხვა შემოსავალი		18,193	7,554
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,961,983)	(3,206,418)
საპროცენტო ხარჯი	14	(27,502)	(321,690)
სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(88,997)	(77,765)
წმინდა უარყოფითი/დადებითი საკურსო სხვაობა	7	416,776	450,613
მოგება დაბეგვრამდე		6,003,344	6,852,313
მოგების გადასახადი		-	-
მოგების გადასახადი	8	-	-
გასული წლის მოგება	8	(83,625)	-
წლის მოგება		5,919,719	6,852,313
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		5,919,719	6,852,313

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.



ალექსანდრე გომიაშვილი
გენერალური დირექტორი



ირინა წიკლაჭური
ბუღალტერი



სს კრედიტინფო საქართველო
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
ძირითადი საშუალებები	9	201,397	170,447
არამატერიალური აქტივები	10	1,368,140	1,403,190
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,569,537	1,573,637
დებიტორული დავალიანება	11	1,034,293	1,302,435
ფული და ფულის ექვივალენტები	12	5,369,570	893,949
სულ მიმდინარე აქტივები		6,403,863	2,196,384
სულ აქტივები		7,973,400	3,770,021
კაპიტალი	13	271,310	271,310
საემისიო კაპიტალი	13	39,994	39,994
გაუნაწილებელი მოგება		7,199,056	1,279,337
სულ კაპიტალი		7,510,360	1,590,641
გრძელვადიანი მიღებული სესხები	14	-	652,186
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	652,186
კრედიტორული დავალიანება	15	463,040	451,511
მოკლევადიანი მიღებული სესხები	14	-	1,075,683
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		463,040	1,527,194
სულ ვალდებულებები		463,040	2,179,380
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,973,400	3,770,021

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ა. გომიშვილი
 ალექსანდრე გომიშვილი
 გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური
 ირინა წიკლაური
 ბუღალტერი



სს „კრედიტინფო საქართველო“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნები	კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	13	343,940	135,724	(6,151,425)	7,953,916	2,282,155
წლის მოგება		-	-	-	6,852,313	6,852,313
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	6,852,313	6,852,313
კომპანიის მიერ საკუთარი აქციების უკანგამოსყიდვის ტრანზაქციები	13	-	-	(7,543,827)	-	(7,543,827)
სახაზინო აქციების გაუქმება	13	(72,630)	(95,730)	13,695,252	(13,526,892)	-
2017 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	13	271,310	39,994	-	1,279,337	1,590,641
წლის მოგება		-	-	-	5,919,719	5,919,719
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	5,919,719	5,919,719
2018 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	13	271,310	39,994	-	7,199,056	7,510,360

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ა.გომიშვილი

ალექსანდრე გომიშვილი
გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური

ირინა წიკლაური
ბუღალტერი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნები	2018	2017
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობაში			
წლის მოგება		5,919,719	6,852,313
კორექტირებები			
მოგების გადასახადის ხარჯი		83,625	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9	41,368	34,497
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	352,548	299,768
ჩამოწერები		14,943	8,108
საპროცენტო შემოსავალი	12	(81,122)	(33,230)
საპროცენტო ხარჯი	14	27,502	321,690
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	11	256,366	374,720
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	15	8,363	119,449
უკან გამოსყიდულ აქციებზე ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		-	(3,308,500)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული		6,623,312	4,668,815
გადახდილი პროცენტი	14	(29,445)	(321,690)
გადახდილი მოგების გადასახადი	8	(83,625)	(359,424)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		6,510,242	3,987,701
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(80,639)	(29,203)
არამატერიალური აქტივების შეძენა	10	(317,499)	(909,172)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	9	8,321	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(389,817)	(938,375)
ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობაში			
უკანგამოსყიდულ აქციებზე გადახდილი საფასური		-	(7,543,827)
მიღებული პროცენტი	12	81,122	33,230
სესხების წმინდა ზრდა	14	(1,725,926)	1,727,869
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(1,644,804)	(5,782,728)
ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა		4,475,621	(2,733,402)
ფულის და ფულის ექვივალენტების მოძრაობა			
ნაშთი წლის დასაწყისში	12	893,949	3,627,351
ზრდა		4,475,621	(2,733,402)
ნაშთი წლის ბოლოს	12	5,369,570	893,949

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 14 თებერვალს.

ა.გომიამაძე

ალექსანდრე გომიამაძე
გენერალური დირექტორი

ირინა წიკლაური

ბუღალტერი

